

წინამდებარე ფორმა გამოიყენება NVU-ის პროგრამის მოსამზადებლად. შევსებული ფორმა დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის საბჭოს. ცისფრად მონიშნული გრაფები მიუთითებს NVU-ის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე და არ ივსება (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული); ყვითლად მონიშნული გრაფების შევსება ნაბაყოფლობითია.

1. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის დასახელება:		შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართალი					
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ძირითადი სპეციალობის მიხედვით):		სამართლის მაგისტრი	პროგრამის მოცულობა კრედიტებით:		120		
საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონე (VI, VII ან VIII)		VII	უმაღლესი განათლების საფეხური (I, II ან III)		II		
არსებული კონცენტრაციები:		შედარებითი კერძო სამართალი; საერთაშორისო სამართალი					
პასუხისმგებელი სკოლა/სკოლები:		სამართლის სკოლა					
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:		გაგა გაბრიჩიძე, დავით კერესელიძე					
სწავლების ენა		ინგლისური/ქართული					
„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:		სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სამაგისტრო გამოცდა/განათლების და მეცნიერების სამინისტროს განსხვავებული წესი		სხვა		სამაგისტრო გამოცდა მოიცავს საერთო სამაგისტრო გამოცდას და საუნივერსიტეტო გამოცდას სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2); განათლების და მეცნიერების სამინისტროს განსხვავებული წესის შემთხვევაში: აპლიკაცია, მოტივაცია და ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა	
დამატებითი სპეციალობა:	არა	დისტანციური სწავლება	არა	გაცვლითი სტუდენტებისთვის ხელმი-საწვდომობა	დიახ	სამუშაო გამოცდილება/დასაქმება:	არა
ხელმისაწვდომობა თავისუფალი მსმენელებისთვის:	არა	წინასწარი რეგისტრაციის მოთხოვნა	დიახ	სხვა	არა	სხვა	არა
სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა:	ნაკადში 50 სტუდენტი		შეცვლილი პროგრამა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):		არ არსებობს		
სავარაუდო განხორციელების თარიღი:	2014 წლის მარტი		შეთავაზების თარიღი:		10.06.2013		

2. მიზნები და სწავლის შედეგები

<p>მიზნები:</p>	<p>შედარებითი კერძო და/ან საერთაშორისო სამართლის სფეროში საჭირო კომპეტენციების განვითარება, როგორც საერთაშორისო ბაზარზე მოქმედ ეროვნულ, ისე საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ დაწესებულებებში საქმიანობის წარმართვისთვის;</p> <p>შესაბამისი სფეროს უახლესი მიღწევების გაცნობა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარის განვითარება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს VII დონით გათვალისწინებული კომპეტენციების შესაბამისად.</p>
<p>ზოგადი სწავლის შედეგები:</p>	<p>ანალიტიკური, პრობლემის გადაჭრისა და კვლევითი უნარების დახვეწა, საკუთარი საჭიროებების შეფასებისა და განვითარების მართვის, აგრეთვე მაღალ მეცნიერულ დონეზე კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბება;</p> <p>ინტერპერსონალური კომპეტენციების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის უნარის განვითარება, განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის, საერთაშორისო გარემოში მუშაობისა და ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი.</p>
<p>დარგობრივი სწავლის შედეგები:</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება შერჩეული კონცენტრაციის დრმა და სისტემური ცოდნა, რაც სტუდენტს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისა და გლობალურად ცვალებად გარემოში იურისტის როლის გაცნობიერების საშუალებას;</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი ახალ, არაპროგნოზირებად და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიების, საკანონმდებლო სფეროს სიახლეებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;</p> <p>დასკვნის უნარი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, საკანონმდებლო მოწესრიგების ხარვეზების, სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნებისა და უახლესი მეცნიერული მიდგომების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;</p> <p>კომუნიკაციის უნარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარი ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;</p> <p>სწავლის უნარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისას თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საჭიროების გაცნობიერების, აგრეთვე უახლესი მეთოდების, პირველადი წყაროების, სამეცნიერო</p>

	<p>სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის საფუძველზე საკუთარი ცოდნის გაღრმავების უნარი;</p> <p>ღირებულებები</p> <p>ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი, არსებული სამართლებრივი ღირებულებების ანალიზის უნარი მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსების თვალსაზრისით და საჭიროების შემთხვევაში, ახალი ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება; ღირებულებების განვითარება კანონის ადამიანის უფლებების უზენაესობის პრინციპის მოთხოვნების (თანასწორობის, თანაზომიერების) შესაბამისად განმარტებისთვის და ახალი მიდგომების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>
--	---

სხვა ან დეტალურად:

მიუთითეთ, ყველაზე მეტად რომელი უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამა, შეარჩიეთ მინიმუმ 5 (მაქსიმუმ 10) ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან.

ანალიტიკური უნარები	√	ლიდერობა	
კომერციული აზროვნება		დაგეგმვა და ორგანიზება	√
თავდაჯერებულობა		პროფესიონალიზმი	√
პრობლემების გადაჭრისადმი კრეატიული მიდგომა	√	კვლევის უნარი	√
კრიტიკული აზროვნება	√	თვითრეალიზაცია	
ეთიკური ნორმების გაცნობიერება	√	სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების აღქმა	√
მოქნილობა		გუნდური მუშაობა	
დამოუკიდებელი მუშაობა	√	დროის მენეჯმენტი	
ინიციატივა		ინტერპერსონალური უნარები	√
სწავლის უნარი		სწავლების უნარი	

3. მოდულიზებული კომპონენტები სწავლის შედეგების კრილში

კოდი (პროგრამა- მოდული- კომპონენტი)	მოდულები და კომპონენტები:	სტატუსი (სავალდებულო/არჩევ ითი)	ECTS (შეთავაზებული სემესტრი)	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ლირებულებები
L0101	შედარებითი და უნიფიცირებული კერძო სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ს	6 (I)	✓	✓	✓	✓		
L0102	საერთაშორისო კერძო სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ს	6 (I)	✓	✓		✓		
L0103	შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓	✓	
L0104	შედარებითი სანივთო სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓		
L0105	შედარებითი დელიქტური სამართალი (ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓		
L0106	შედარებითი საკორპორაციო სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓		
L0107	უნიფიცირებული „სოციალური“ (თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული) სახელშეკრულებო სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	6 (III)	✓	✓				
L0108	საერთაშორისო და შედარებითი არბიტრაჟი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓		✓
L0109	საერთაშორისო ნასყიდობის სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓		
L0110	შედარებითი საბანკო სამართალი (ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓	✓	
L0111	მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი (ინგლისურენოვანი)	ა	6 (III)	✓	✓		✓		
L0201	საერთაშორისო სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ს	6 (I)	✓	✓	✓	✓	✓	

L0202	ევროპული კავშირის სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ს	6 (I)	✓	✓	✓	✓	✓	
L0203	ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓		✓
L0204	ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓	✓	
L0205	ევროპული კავშირის ბიზნეს სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓	✓	
L0206	საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓		✓		
L0207	საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი (ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓				
L0208	საგადასახადო სამართალი (ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓		
L0209	საჯარო შესყიდვები (ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓		✓		
L0210	საერთაშორისო საზღვაო სამართალი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓	✓	
L0301	სამართლებრივი დასაბუთება და არგუმენტაცია (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ს	6 (I)	✓	✓	✓	✓		✓
L0302	სამართლის ეკონომიკური ანალიზი (ინგლისურენოვანი)	ა	6 (II/III)	✓	✓	✓	✓		
L0303	იურიდიული კლინიკა (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	12 (II/III)		✓	✓	✓	✓	✓
L0304	მედიაციის კლინიკა (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ა	12 (II/III)	✓	✓	✓	✓		✓
L0401	სამაგისტრო ნაშრომი (ქართულ- ან ინგლისურენოვანი)	ს	30 (IV)	✓	✓	✓	✓	✓	✓

შენიშვნა: სტუდენტმა მინიმუმ 60 კრედიტი უნდა გაიაროს ინგლისურ ენაზე. სტუდენტის სურვილის შესაბამისად, ამ პროგრამის არჩევითი კომპონენტების ნაცვლად, დასაშვებია კრედიტების ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამიდან დაგროვება 12 კრედიტის ფარგლებში.

4. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და შეფასება:

კავშირი გამოყენებულ მეთოდებსა და სწავლის შედეგების მიღწევას შორის:

შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართლის კომპონენტებს შორის ფართო არჩევანი სტუდენტს საშუალებას აძლევს, თავადვე ჩამოაყალიბოს საკუთარი პროფილი: აქცენტი გააკეთოს შედარებით კერძო ან საერთაშორისო სამართალზე, ან შეარჩიოს კომპონენტები ორივე კონცენტრაციიდან სავარაუდოდ დასაქმების სფეროსათვის ყველაზე საჭირო კომპეტენციების გამომუშავების მიზნით. ძირითადი კურსების შეთავაზება მხოლოდ პირველ სემესტრში ხდება და ემსახურება კონცენტრაციის ორივე სფეროსთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას.

თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების კომბინაციაზე დამყარებული ინტერაქტიული სწავლება ემსახურება სტუდენტის დამოუკიდებელი განვითარების ხელშეწყობას, რაც ადამიანის უფლებების უზენაესობის – ე.ი. თანასწორობისა და პროპორციულობის – პრინციპის მოთხოვნების შესაბამისად კანონის განმარტებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების გამომუშავებას ისახავს მიზნად.

შეფასების სისტემა

ქულათა რაოდენობა	შეფასება (მოკლე აღწერილობა)	წარმატებული სტუდენტების შედეგების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი (შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეფასების ადეკვატურობის მონიტორინგის მიზნით)
91-100	A (ფრიადი)	საუკეთესო – 10%
81-90	B (მალიან კარგი)	საშუალოზე მაღალი – 25 %
71-80	C (კარგი)	საშუალო – 30 %
61-70	D (დამაკმაყოფილებელი)	საშუალოსთან მიახლოებული – 25%
51-60	E (საკმარისი)	ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 10%
41-50	FX (ვერ ჩააბარა, ეძლევა გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება)	
0-40	F (ჩაიჭრა)	

5. რესურსები

პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები:

სახელწოდება:	აღწერილობა:
ლიტერატურა	ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო რესურსები (ელექტრონული ლიტერატურის ჩათვლით)